პროექტი

საქართველოს მთავრობის
განკარგულება N

2019 წლის ქ. თბილისი

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და საშუალო შრომის ანაზღაურების განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 იანვრის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და საშუალო შრომის ანაზღაურების განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 იანვრის N61 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველ პუნქტს „დ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „დ[1]" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„დ[1]) „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, „სოფლის ექიმი" (პროგრამული კოდი: 27 03 03 08) - პროგრამის ფარგლებში, დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არა უმეტეს 10 ერთეულით.".

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და საშუალო შრომის ანაზღაურების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 იანვრის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტზე:

ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ცვლილება ითვალისწინებს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის გამონაკლისის დაშვებას და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობის გაზრდას შემდეგი გარემოებებით:

„2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებით „სოფლის ექიმის“ პროგრამის „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“ კომპონენტით განსაზღვრული მომსახურების ზედამხედველობის გაუჯობესების მიზნით, ასევე, პირველადი ჯანდაცვის მნიშვნელობისა და სოფლის მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა პროგრამის მიმდინარეობაზე განხორციელდეს ეფექტური მონიტორინგი.

ამ მიზნისათვის, წარმოდგენილი პროექტით, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს (პროგრამის განმახორციელებელი) სამხარეო ცენტრებსა და აჭარის ა/რ ფილიალში იქმნება „სოფლის ექიმის“ კოორდინატორის პოზიცია (სულ 10 ერთეული), რომელიც კოორდინაციას გაუწევს სოფლის ექიმების/ექთნების მუშაობასა და პროგრამის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად აამაღლებს გაწეული მომსახურების ხარისხსა და ეფექტიანობას.

აღნიშნული ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით განკარგულების პროექტი ითვალისწინებს „სოფლის ექიმი“ (პროგრამული კოდი: 27 03 03 08) - პროგრამის ფარგლებში, დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრას არა უმეტეს 10 ერთეულით;

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტი არ გამომდინარეობს ,,ერთის მხრივ, საქართველოსა და, მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტით წარმოდგენილი ღონისძიებების დაფინანსება გათვალისწინებულია „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „სოფლის ექიმი“ (პროგრამული კოდი: 27 03 03 08) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

შესაბამისი პროგრამების შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელება.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება 2019 წლის განმავლობაში.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ინიციატორია - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო.

პროექტის წარმდგენია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.